



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2920/ს



29/12/2021

2920-11-4-202112291408

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული საშეშე მერქნული რესურსის (მუხას, ცაცხვის, რცხილას, ჯაგრცხილას, თელას, ნეკერჩხალის, ბალამწარას, მაჟალოს, პანტას, ტყემალის, იფანის, თხილის, კუნელის, ტირიფის და შიდის ჯიში)–სულ - 417.64 მ<sup>3</sup> საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N1048) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 21 სექტემბრის დასკვნის N006668521 და 2021 წლის 24 დეკემბრის დასკვნის N008959121, „სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანებისა და ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის უფროსის 2021 წლის 28 დეკემბრის N25818 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N1048 ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის დარბაზის სატყეო, გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული 417.64 მ<sup>3</sup> ფოთლოვანი სახეობის (მუხას, ცაცხვის, რცხილას, ჯაგრცხილას, თელას, ნეკერჩხალის, ბალამწარას, მაჟალოს, პანტას, ტყემალის, იფანის, თხილის, კუნელის, ტირიფის და შიდის) საშეშე მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლებამოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (თ. მეფარიშვილი) სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი